ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №29

ქ. დმანისი **2024 წელი**

ერთის მხრივ, დმანისის მუნიციპალიტეტის მერია, (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის კობა მურადაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ჯეობიტი" (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ზაზა მაღლაკელიძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. **კარტრიჯების დატუმბვის, კომპიუტერების და საოფისე აპარატურის შეკეთების, ტექნიკური მომსახურების და მათთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა, თანდართული დანართის შესაბამისად(CPV – 50300000;50310000)**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარს

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 (ათი) სამუშო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერაზე უფლებამოსილი პირია **დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი შრომის უსაფრთხოების საკითხებში - ბექა ქრისტესიაშვილი.**

6. მომსახურების გაწევის ვადა

6.1. მომსახურების გაწევის ვადაა- 2024 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია** ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3.**შემსყიდველი ვალდებულია** უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.
გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 .ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი შრომის უსაფრთხოების საკითხებში - ბექა ქრისტესიაშვილი.
8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს პროცესისს.
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება მთლიანი ღირებულების 10%.
9.2. ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულების მე-6 მუხლის გათვალისწინებულ ვადაში შეუსრულებლობის გამო, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მთლიანი ღირებულების 0.1%-ის ოდენობით
9.3 იმ შემთხვევაში, თუ 9.2 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. რეკვიზიტები

შემსყიდველი დმანისის მუნიციპალიტეტი მის.: ქ. დმანისი, წმ. ნინოს №41 საიდენტიფიკაცო კოდი: 228928391 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა TRSGE22 ერთიანი ანგარიში: GE24NB0330100200165022 ტელ.: 0(360) 22-11-53 ელ-ფოსტა: dmanisi.mun@gmail.com დმანისის მუნიციპალიტეტის მერი DMANISI MUNICIPALITY Digitally signed by DMANISI MUNICIPALITY Date: 2024.01.18 17:52:06 +04'00' ---------- **კობა მურადაშვილი**	**მიმწოდებელი** შპს „ჯეობიტი“ მის.: ქ.რუსთავი შევჩენკოს 14-24 საიდენტიფიკაცო კოდი: 216406486 საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკის“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE47TB0270036020100002 ტელ: 0 (341) 28-44-44; 0(341)25-34-56 geobit.ltd@gmail.com **შპს „ჯეობიტი“-ს** **დირექტორი ---------- ზაზა მაღლაკელიძე**

Zaza Maghlakelidze 35001025034 Digitally signed by Zaza Maghlakelidze Date: 2024.01.17 15:16:18

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.დმანისი **2024 წ.**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ 2024 წლის №29 ხელშეკრულებით განსაზღვრულ სახელმწიფო შესყიდვაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერი _____ კობა მურადაშვილი

Beka Kristesiashvili
Digitally signed by Beka Kristesiashvili
Date: 2024.01.18 12:36:31 +04'00'

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მეორე კატეგორიის
უფროსი სპეციალისტი შრომის უსაფრთხოების საკითხებში ---------- ბექა ქრისტესიაშვილი

შპს ჯეობიტი

ს/კ 216406486
ტელ: +995341 284444 ;
(0341)253456

შეთავაზება- ინვოისი

მეგობრობის გამზირი #10გ, რუსთავი, საქართველო

შემსყიდველი: დმანისის მუნიციპალიტეტი

ს/კ: 228928391
15.01.2024

შ.პ.ს. "ჯეობიტი"
ს/კ: 216406486
ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზ. 10გ
მიმღები ბანკი:
ს.ს. „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: **TBCBGE22**
ა/ა # **GE47TB0270036020100002**

#	დასახელება	ოდენი	ერთეულის ფასი	თანხა
1	სტანდარტული კარტრიჯის დატენვა/აღდგენა | Q2612A; CB435A; CB436A; CE278A; CE285A; CF283A; CRG 737; CANON 725; FX-10; CANON 728; CF233A	1	10	10
2	კარტრიჯის დამუხტვა/აღდგენა | CE505A; CF280A; CF217A; CF230A; Canon 719	1	15	15
3	დრამ კარტრიჯი | CF219A (DRUM)	1	25	25
4	დრამ კარტრიჯი | CF232A (DRUM)	1	25	25
5	დრამ კარტრიჯი | CF234A (DRUM)	1	30	30
6	დრამ კარტრიჯი | LEXMARK MX310/410	1	70	70
7	დრამ კარტრიჯი | SAMSUNG MLT-D101S	1	30	30
8	დრამ კარტრიჯი | SAMSUNG MLT-D115L	1	30	30
9	კარტრიჯის დამუხტვა/აღდგენა |Q7551A; CF259A	1	20	20
10	კარტრიჯის დამუხტვა/აღდგენა |Q7551X	1	35	35
11	ფერდი ლაზერული პრინტერის შევსება	1	200	200
12	მომსახურება (პრინტერის შეკეთება-გაწმენდა, ლაზერის გაწმენდა, უსბ პორტის შეცვლა-შეკეთება, ფორმატერის შეცვლა, თერმოფირის შეცვლა, პროგრამული უზრუნველყოფა)	1	20-ლარიდან - მომსახურების მიხედვით	

დირექტორი ზ. მაღლაკელიძე